ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა „ამერ-იმერი“ - ის

კრების ოქმი N36

ქალაქი თბილისი, 2016 წ. 28 იანვარი

1) ამხანაგობის მისამართი: ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N6/ა

2) ამხანაგობის თავჯდომარე: დავით ჩოჩიშვილი, პ/ნ. 59001003605

3) კრების ჩატარების ადგილი: პოლიტკოვსკაიას ქ. N6/ა, ბ. N5

4) კრების თავჯდომარედ არჩეულ იქნა დავით ჩოჩიშვილი, პ/ნ. 59001003605

5)კრებას დაესწრო მესაკუთრეთა 100 %

6) დღის წესრიგი: ამხანაგობა „ამერ-იმერის“ ტერიტორიაზე არსებულ შენობაზე მსუბუქი კონსტრუქციის კიბის მიშენება

7) მოისმინეს

ამხანაგობის წევრის ლევან ადეიშვილის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მას სურს შენობა #1-ში მისი კუთვნილი მეორე სართულის საცხოვრებელი ბინიდან პირველ სართულზე მისვლა კუთვნილ ავტოფარეხთან ჩასასვლელი მსუბუქი კონსტრუქციის კიბის მოწყობა.

8)აზრი გამოთქვეს: ამხანაგობის დამფუძნებლებმა: დ. ჩასიღაიამ, მ. გელაშვილმა, დ. ჩოჩიშვილმა, ი. კობახიძემ. მათ აღნიშნეს, რომ აღნიშნული ცვლილება ეზოს ინტერესებს არ დაარღვევს.

ამხანაგობის თავმჯდომარემ დავით ჩოჩიშვილმა სთხოვა ამხანაგობის წევრებს ხელისმოწერით დაედასტურებინათ თანხმობა აღნიშნული ცვლილების შესახებ.

9) ამხანაგობა „ამერ-იმერის“ წევრებმა ხმათა 100 %-ით გადაწყვიტეს:

1. დართონ ლევან ადეიშვილს მის კუთვნილ ავტოფარეხში ჩასასვლელი კიბის მოწყობის ნება

კრების თავმჯდომარე: (დ. ჩოჩიშვილი)

დავით ჩოჩიშვილი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N160097014
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	05.02.2016 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ქეთევან გრიგოლია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი ვაჟა-ფშაველას 45, მესამე სართული
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	593 127322
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	03622081787316

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ორი ათას თექვსმეტი წლის ხუთ თებერვალს მე, ქეთევან გრიგოლიას, ნოტარიუსს ქ.თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №45, მე-3 სართულზე მომმართა **დავით ხოჩიშვილმა**, რომელმაც წარმომიდგინა **ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა „ამერ-იმერი"-ს კრების ოქმი №36** და განაცხადა, რომ სურს ოქმზე ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება. **მე მას განვუმარტე, რომ არ ვამოწმებ უფლებამოსილებას, ოქმის შინაარსზე და სამართლებრივ შედეგებზე მე, ნოტარიუსი ქეთევან გრიგოლია არ ვიღებ პასუხისმგებლობას, მხოლოდ ვამოწმებ ოქმზე ხელმოწერას.**

მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი საბუთით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მომმართა **დავით ხოჩიშვილმა** (დაბ. 12.12.1967წ. დაბადების ადგილი: გორი, პირადობის მოწმობა №01082090, პირადი №59001003605, გაც. 31.07.2007წ. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ვაკის სამსახურის მიერ, მცხ. თბილისი, ჯიქიას ქ. №6, ბინა 5).

მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა.

დავით ხოჩიშვილმა წაიკითხა ოქმი, რის შემდეგაც ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე **ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა „ამერ-იმერი"-ს კრების ოქმი №36-ზე.**

ნოტარიუსის საზღაური: საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" - ერთი ხელმოწერა, 2 (ორი) ლარი - მუხლი 31.3 + დღგ 0.36 (ოცდათექვსმეტი) თეთრი - თანახმად საჯაღდასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა + 2 (ორი) ლარი სანოტარო მოქმედებათა ელექტრონული რეგისტრაციის საფასური - მუხლი 39.1 თანახმად ზემოთ მითითებული დადგენილებისა, სულ 4.36 (ოთხი ლარი და ოცდათექვსმეტი თეთრი) ლარი.

ნოტარიუსი: **ქეთევან გრიგოლია**